განკარგულება:**g-63. 632335923**
თარიღი:**25/12/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონი, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს თავი 3, მუხლი 16, პუნქტი 2, „ტ“ ქვეპუნქტი, თავი 4, მუხლი 24 , პუნქტი 2-ის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2024 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცებისსაკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2024 წლის პროგრამა. (დანართი N1).
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2024 წლის შემოსავლები. (დანართი N2).
3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2024 წლის პროგრამის განხორციელების ხარჯები. (დანართი N3).
4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს საშტატო განრიგი და 2024 წლის სახელფასო ფონდი (დანართი N4).
5. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2024 წლის ხელშეკრულებით აყვანილ სპორტსმენთა სახელფასო ფონდი (დანართი N5).

დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2024 წლის პროექტი, მიზნები და ამოცანები

პროგრამის აღწერა და მიზანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტში რაგბის განვითარების ხელშეწყობა და გაუმჯობესება, მომავალი თაობის ჯანმრთელი და სწორი მიმართულებით განვითარება და ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, ვაჟებს შორის. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. აგრეთვე საქართველოს მასშტაბით და მის საზღვრებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნირებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდების კანდიდატების მომზადება. სპორტული ღონისძიებათა კალენდარის შემუშავებითა და შესრულებით სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა. ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის რაგბის "კლუბი ფენიქსი"-ს

პროგრამული კოდი	კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებების დასახელება
05 01 02 06	1. რეგიონალური ლიგა 2. საბავშვო საფესტივალო ლიგა

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

პროგრამის ეფექტური განხორციელების შემთხვევაში:

1. ფუნქციონირება უზრუნველყოფს 2 ლიგიდან 1 ლიგაში გადასვლას და ასევე საფესტივალო ბავშვების განვითარებას ვაჟებს შორის ასაკების და წლების მიხედვით.

2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ გაერთიანდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს მასშტაბით (საჭიროების შემთხვევაში საზღვრებს გარეთაც) ჩატარებულ სხვადასხვა ჩემპიონატებსა და ტურნირებში, აღიზარდონ პროფესიონალ სპორტსმენებად. მომავალში მათ უნდა წარმოადგინონ და ასახელონ სამტრედიის მუნიციპალიტეტი საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთაც.

3. სპორტის სფეროში დასაქმებულ მწვრთნელ მასწავლებლებს მიეცემათ საშუალება ნორმალურად განახორციელონ საწვრთნელი პროცესი და ამისთვის უფასოდ ისარგებლოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ღია თუ დახურული ტიპის სპორტული მოედნებით.

4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ განხორციელებული სუბსიდია და დაწესებული შეღავათები არსებული სოციალურად მძიმე ვითარების

მიუხედავად უზრუნველყოფს სპორტის მეტნაკლებად შეუფერხებელ განვითარებას, ახალგაზრდა მომავალი თაობის ჩაბმას სპორტში, დასაქმებას და მათ ჯანსაღ აღზრდას.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სპორტის მასობრიობა და პოპულარიზაცია უფრო მეტი მოზარდი თაობის ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, ჯანსაღი თაობის აღზრდა, ჩემპიონებისა და პრიზიორების რაოდენობის გაზრდა.

ფუნქციონირება უზრუნველყოფს 2 ლიგიდან 1 ლიგაში გადასვლას და ასევე საფესტივალო ბავშვების განვითარებას ვაჟებს შორის ასაკების და წლების მიხედვით.

პრიორიტეტულია მონაწილეობის მიღება სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სპორტის სახეობათა ფედერაციების და სხვა სპორტულ ორგანიზაცია-დაწესებულებათა მიერ ორგანიზებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში, სემინარებში და სხვა ღონისძიებებში, მწვრთნელ-მასწავლებელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, სპორტული ბაზების და ინვენტარის განახლება, მუნიციპალიტეტში სპორტული შეკრებების ორგანიზება, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შესძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება საგრძნობლად გაზრდის საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორებს.

საბოლოო შედეგები შეფასების ინდიკატორი

ა.(ა).ი.პ. ,,რაგბის კლუბი ფენიქსი" მოემსახურება სპორტის მასობრიობას და პოპულარიზაციას უფრო მეტი მოზარდი თაობის ჩაბმას სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, ჯანსაღი თაობის აღზრდას, ჩემპიონებისა და პრიზიორების რაოდენობის გაზრდას, რისთვისაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დიდ მხარდაჭერას და მადლიერებას გამოხატავს გუნდის მიმართ.

დანართი N2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2024 წლის შემოსავლები ათ. ლარებში

შემოსავლების დასახელება	თანხის ოდენობა
სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	244,70
საკუთარი შემოსავლები	18,00
სულ:	**262,70**

დანართი N3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2024 წლის პროგრამის განხორციელების ხარჯები ათ. ლარებში

ეკ. კლას. კოდი	ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან	2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები	ცვლილება	დაზუსტებული სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	2024 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები
	05 01 02 06	ა(ა)იპ რაგბის კლუბი ფენიქსი	262.70	244.70		244.70	18.00
2		ხარჯები	262.70	244.70		244.70	18.00
2.1		შრომის ანაზღაურება	76.20	76.20		76.20	0.00
2.2		საქონელი და მომსახურება	186.50	168.50		168.50	18.00

დანართი #4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს 2024 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი

N	თანამდებობა	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო	სულ
1	დირექტორი	1	1287	15420
2	ბუღალტერი	1	660	7920
3	ხაზის ტრენერი	1	990	11880
4	შერკინების ტრენერი	1	1100	13200
5	დამხმარე ტრენერი	1	990	11880
6	ექთანი	1	660	7920
7	იურისტი	1	660	7920
	სულ	7	6347	76164

დანართი #5

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,რაგბის კლუბი ფენიქსის“ ხელშეკრულებით აყვანილ სპორტსმენთა ანაზღაურება

N	დასახელება	შტატი	განაკვეთი	სულ 9 თვე
1	ძირითადი მოთამაშე	19	15778	142002
სულ ჯამი		**142 002**		

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი